

F 75  
1914

ბეჩია ნათელი.

საქართველო  
საბჭოთაო

# საქართველო



საქართველო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1914 დეკემბერი. № 23

განც  
№ 23  
კვირის

# ქრონიკა

წელიწადი 80-ე.

№ 23.

დეკემბერი, 1914 წ.


F240



ს ი ზ მ ა რ ი.

# მ ი ნ ა ა რ ს ი:

|                                                                                   |    |
|-----------------------------------------------------------------------------------|----|
| I—სიზმარი,—სურ.                                                                   | 1  |
| II—„ნაკადულის“ მკითხველები                                                        | 3  |
| III—ყიყლიყო,—დექსა დაჟ. ელიოზაშვილის.                                             | 4  |
| IV—კატო,—ნ. გარდავაძის.                                                           | 6  |
| V—როგორ იზრდებოდა ორი წიწილა;—(კოპწა და კო-<br>ხტას თავგადასვადი)—სონია ხაყოშიასი | 12 |
| VI—პია-შიაი,—ერთ-მოქმედებაანი ზიესა ტრაფინისა, (დასა-<br>სრულა).—დ. ელიოზაშვილის. | 16 |
| VII—წერილი რედაქციის მიმართ                                                       | 23 |
| VIII—გასართობი: რებუსი და ილსნა.                                                  | 24 |



# „სადღესასწაულები“


მკითხველები



- 1) სონია კანდელაკი, — თბილისი. 2 და 3) ელენე და ლიუბა, ნაკა-  
შიძეები, — თბილისი. 4) გუგული ალიშვარაშვილი, — პეტროგრადი.  
5) ელენე ვაჩნაძე, — თბილისი.



ქართველი  
წიგნიერები



## ყ ი ყ ლ ი ყ რ.



იელიყო და ეიელიყო, —  
წამოდექით ზეზედა!  
შესეთ, როგორ აბზინდა  
ნამი მწვანე ზეზედა.

მხემ სსივეები ამოჭყო, —  
განთიადი დადგო;  
ეგულა შრომის მოეუარე  
მარდად ფესზედ ადგო.

რასა გძინავთ, ბავშვებო, —  
აბა რა დროს ძილია?..  
ჩქარა ფესზედ წამოსტით,  
თამრიკო და ილია.

დედა თქვენი ბოსტანში  
მარგლის სახეის კვალსაო, —  
მიეძველეთ საჩქაროდ  
ნულარ ხუჭავთ თვალსაო.



ეიელიო და ეიელიო,  
ნურც შენ სვრინავ, ტასია;  
მოსაულებად ჰაზა-შენს  
ვინ ჰეხვს შენი ფასია?!

სერგო, კაღოს მიხედუ:  
მაძა აბაშს სარსაო;  
კეპრსე წამოასკუზდი,  
დაურბინე გარსაო.


კატო, შე ცუკრუძელავ,  
რასა ჰგორავ სანტადა:  
ნაკვიანი ოთახი  
გამოჰტავე მარდადა.


დახეთ ამ კუდრაჭსა, —  
შენსე ვამბობ შალიკო:  
მარწუეის საკრეფად გიხმობს  
ზაატანთ ვალიკო...

ეიელიო და ეიელიო! —  
წამოდექით ზეზედა;  
შენეთ როგორ აბსინდა  
ნამი მწვანე ხეზედა.

მზემ სსიეები ამოჰყო:  
განთიადი დადგაო;  
ვეელა შრომის მოეფარე  
მარდად ფენსე ადგაო!..

დ. ელიოზაშვილი.





## კ ა ტ ო.



ივნის კიბეზე ჩამომჯდარი რვა წლის  
პატარა კატო მეტად დაღონებულიყო:  
თავი სელებზე დავერდნო, თვალები მ-  
ღლა აეჭურო; მთელი სახის გამოძე-  
ტეველება აშკარად მოწმობდა, რომ ის

რბაც ფიქრებით იყო გატაცებული. რაზე ფიქრობდა პაწია  
კატო? ნუ თუ ისიც შესაძლებელი იყო, რომ ასეთ უმანკო  
არსებას სადარდელი რამ ჰქონოდა?.. კატოს მოულოდნელად  
მოსტაცეს მამა და ომში წაიყვანეს. ამას მეორე უბედურებაც  
თან დაერთო: დედა ჯავრისაგან აჯად გახდა და ლოკინად ჩაკარდა.  
„ღმერთო, მშვიდობით დამიბრუნე ჩემი მამა! მოძირჩიე  
ჩემი კეთილი დედა!“ — ბუტბუტებდა კატო.

ძალიან ლამაზი ბავშვი იყო კატო; გიშვრევით შავი თმა,  
რომელიც ოდნავ შუბლს ჰფარავდა, შავი, დიდრონი თვალები,  
პაწია ტუჩებილი იშვიათ სურათს წარმოადგენდა. ამასთან  
ერთად კატო ძლიერ ცნობის მოკვარე იყო: ეოველი სა-  
განი, დიდი თუ პატარა, მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნე-  
ლო — იწვევდა მის განსაკუთრებულ ყურადღებას. ის, რაც  
სხვისთვის შეუძნეველი რჩებოდა, კატოს აინტერესებდა და



ცნობის მოკვარეობას უღვიძებდა. დილას, გამოაგვეტედა თუ არა, გვეჩვენებდა თვალებს, საჩქაროდ წამოიჭრებოდა სოლმე ლოგინიდან, ნაიცვამდა ტანსე, მივარდებოდა დედას თხოვნით: „მითხარი, დედო, რატომ არ სცვივა მიწაზე ვარსკვლავები?“ ან „როგორ ანათებენ ვარსკვლავები და მთვარე,“ ან კიდევ — „როგორ ჩნდება წვიმა და თოვლი“ და სხვა...

ასეთი საეურადღებო კითხვები ხშირად ებადებოდა სოლმე კატოს. დედასაც ეს გარემოება ძლიერ ახარებდა. ის ეურადღებით უსმენდა, ჩაიჯდებოდა კალთაში და შეძლებისადაც კარად ზასუსს აძლევდა.

დედასთან ბაასის შემდეგ კატო ისაუბრებდა და კავებდა ვარსკვლავებს თავის ზატან მძისთან ერთად ესოში, სადაც უცდიდნენ მოუთმენლად ტოლ-აშხანაკები.

ესოში კატო ეურადღებით ათვლიერებდა ბაღასებს, ევაკილებს, სეებს, ფრინველებს, მწერებს და ევულაფურს, რაც მას წინ სვდებოდა.

დედამა ჰხედავდა, რომ კატოს სწავლის სურვილი ჰქონდა და სულ იმაზე ოცნებობდნენ, რომ თავისი კატოსათვის სწავლბ-განათლება მიეცათ და კარგი ადამიანი აღესარდათ.

კატოს მამა ზეინკალი იყო; ის მუშაობდა ქარხანაში და სულ მცირე ჯამაგირს იღებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანაც აზირობდა ენკენისთვემა კატოს სკოლაში მიბარებას. კატოც ამის გამო სიხარულით ფესზე აღარ იდგა, სულ სტოდა.

მუსთაღმა ბეღმა სულ სხვაფერ მოაწყო კატოს ცხოვრება. იმის შემდეგ, რაც მამა ოპში წაიუვანეს და დედაც აუბა გაუხდა, კატო სულ გამოიცვალა. მას აღარ იზიდავდა არც მინდორ-ველი, სურნელოვან ეკავილებით შემოსილი; — არც ფრინველების ჭიკჭიკი, რომელიც მას ხშირად სძენას უტეობდა; —



არც ტოლ-ამსახურებთან თამაში და კისკისი, არც მისი გაკეთებული დედოფლები, რომელნიც ოთახის ერთ-ერთ კუჩუღიდან ობლებსაჲთ გამოიუწებოდნენ. კატოს საფიქრებელ საგანს წარმოადგენდა ასლა დედის და მამის საშინაო მდგომარეობა და კოწიას მომავალი,

ამ ფიქრებით შეწუხებულს ვხედავთ ჩვენ კატოს აივნის კიბეზე ჩამომჯდარს. როდესაც განვლო ცოტა ხანა, კატოს მოესმა ავადმოუფი დედის დასუსტებული ხმა: „კატო, წავალი!“

კატო სწრაფად წამოხტა სეზე, შევიდა ოთახში და დედას წავალი მიაწოდა. სიცხისაგან დაუძლურებული დედა დაეწაფა წავალს; შემდეგ, როცა შეამჩნია კატოს სახეზე არა-ჩვეულებრივი მწუხარება შემინებულმა ჭკითხა:

— რა ამბავია, შვილო, ხომ არაფერი გაგიცია?

— არა, — უპასუხა კატომ.

ამ დროს აივნიდან მოისმა ფეხის ხმა. კატო შეკრთა. გულმა ძკვრა დაუწყო, სუნთქვა გაუჩერდა, თითქოს რაღაცას მოლოდინში, და გაექანა სტუმრის მისაღებად. გაბოლო ი.უ არა კარები, დაინახა ფოსტალიონი, რომელმაც წერილი მიაწოდა. კატომ ორივე ხელი ჩასჭიდა წერილს, ჩაიკრა გულში და აღელვებულმა დედას მიუბრუნა.

— დედა, დედა, მამას წერილი, მამას წერილი! — შესძახა კატომ.

სიხარულისაგან აღელვებულმა ავადმოუფმა დიდხანს ვერ მოიკრიფა ძალა; ბოლოს, როგორც იქნა, აიღო წერილი, გახსნა და წაიკითხა:

„დაო ქეთევან! — ეწერა წერილში: უბედურებად ვრაცხ, რომ მარტუნა ბედა შეგატყობინოთ თავსარდამცემი ამბავი. ამბავი დასჭრეს 25 ენკენისთვეს და მეორე დღესვე გარდაი-



ცვალა. სიკვდილის წინ მთხოვა გადმოეცა თქვენთვის მისი უკანასკნელი სალამი. კატოს დაჰვალა დედის და კოწიას ურის გდება. გისურვებთ მოთმინებას.

თქვენი კეთილი მსურველი ივანე.“

ერთ საათში მკობლეების ეურამდისაც მიაღწია ამ აშმაგმა. კატოს ამსანაგები იმ წუთშივე გამოეჭურენ კატოსთან. კარებში მოესმათ მისი გულ-ამოსკვნილი მახილი: „დედა, დედა, შენ მაინც ნუ მიგვატოვებ, დედა, დედილო!“

ამსანაგები ფეს-აჩქარებით შევარდნენ ოთახში. კატო და კოწია მაგრად ჩაკვროდნენ დედას გულში და ამაოდ ელოდნენ ზასუსს. ის უკვე გაციებულ უსულო გვამს წარმოადგენდა.

შემოდგომის დილაა. მზე ჯერ არ ამოცურებულა ცაზე. მიდამო ბურუსითაა მოცული. ვეელგან სამარისებური სიჩუმეა. მამლის ეიეილიც-კი არსადან ისმის. ამ სიჩუმეს არაღუკვს მხოლოდ სმა ბავშვების ზაწია ფეხებისა. ბავშვები სადღაც მიიჩქარიან.

„აქეთ, აქეთ, არ დაეცე“, — ისმას სმა.

აი, მიაღწიეს ერთ ზატარა გორაკს, სადაც ბლომად მოსწანდნენ მიწაში ჩარჭობილი ჯვრები.

ბავშვები ავიდნენ ამ გორაკზე, შეცივებულნი, ამაგმაგებულნი, მიჰკროდნენ ერთი-მეორეს.

— აი, აკერ, ჩვენი დედაც! — წამოიძახა ზატარა ქალმა და დაეცა ქვაზე. მოისმა მწარე, უნუგეშო ქვითინი.

— მა... — მა... — სად... — ღაბ? — ჰკითხა მამამ.

— შორს, შორს; მას ჩვენ ვერ მივწვდებით, — უზასუხა დამ. დიდხანს ტიროდნენ საბრძლო ობლები ამ ცივ ქვაზე,



რომელსაც მათი არაფერი ესმოდა. ისინი გონზე მოვიდნენ, მსხვერპლად მათი თვალუბრის შეხება.

ბავშვები წამოდგნენ. კატო გაიმართა წელში, თავი მალა ხსენებით, თვალები მხეს გაუსწორა. იგრძნო რაღაც გამაყვანებელი სითბო მხისა. მხის სხეულებმა თითქმის იმედი გაუღვიძეს.

— წამოდი, კოწია: ღმერთია ჩვენი შემწე, არ დავიკარგებთ! — წარმოსთქვა კატომ და ორთავე სველ-ჩაკიდებული ჩამოეშენ გორაკიდან ძირს.

კატოს სადარდელი ამ წუთში ის-ღა იყო — როგორმე საძებრო ეშოვნა და თავისი ზაწია მამა გამოეკვება. გადასწვრიტა მიემართნა იმ ქარსნის უფროსისათვის, რომელთანაც მუშაობდა საბრალო მამა მისი. ერთ დღეს ჩაბაბრა ამხანაგს ქეთოს თავისი მამა და გაეჩანა ქარსნისკენ. როდესაც მიადგია ქარსნის კარებს, იქ გაჩნდა და ზიტუნა: ვერ ბედავდა შიგ შესვლას. ამ დროს კარებიდან გამოვიდა ალა. (ასე ეძახდა კატოს მამა ქარსნის უფროსს) ბავშვი შეკრთა, არ იცოდა რა ექნა. ბევრი ეოქმანის შემდეგ ის მივიდა ალასთან. კატოს ცრემლები აღწოვდა, სხვა ვერ ამოეღო; ბოლოს სძლია თავს და აუხსნა ალას თავისი მდგომარეობა. ქარსნის ზატრონზე ისე იმოქმედა ბავშვის ამბავმა, რომ მამინათვე ამოიღო ჯიბიდან თუნბიანი და შესთავაზა.

— არა, არ მინდა, — უთხრა ბავშვმა: — მე მხოლოდ საძებრო მინდა; მე მინდა მხოლოდ ვიპოვო. მამა მეუბნებოდა: კაცი შრომით უნდა ცხოვრობდეს, მათხოვრობა სირცხვილიაო; მეც ვთხოვთ საძებროთ თქვენს ქარსანაში.

რვა წლის ბავშვისაგან არ მოელოდა ქარსნის ზატრონი ამდენ სიფხილეს და შეგნებულობას; ის განცვიფრებული დასცქეროდა ბავშვს. ბოლოს დაიხარა, აკოცა ჭეხილზე და დაჰმირდა დასმარებებს.

კატომ იმ დღესვე იმოვა საბუძო, საქსოვ ქარსაჲსა  
 „აღას“ წელობით. ის დღეში ექვს ჰაერს იღებდა. კატო  
 უვლიდა კოწიას და ზრდიდა, როგორც მშობელი ღვდა; კო-  
 კოწიასაც დედისაჲთ უყვარდა იგი.

როდესაც კატო ახაკში შევიდა, იმოვა უფრო კარგი  
 ჯამაგირიანი ადგილი. სულ ახსოვდა მამის სიტყვები:  
 „კატოს ევალეობა ღვდის და კოწიას ეურის კდება.“

კატომ ახალი ჯამაგირის მიღებისათჳსვე გასწმინდა, გა-  
 ამჟენიერა ღვდის საფლავი და ზედ სის ჯვარი დაასო.  
 უოჲელ დილას ესტუმრებოდა სოფელ ღვდის საფლავს; კოწი-  
 კი სკოლაში მისცა და წიგნებიც უეიდა. ასე შესრულა კა-  
 ტომ მამის ანდერძი.

## 6. გარდავაძე.





## როგორ იზრდებოდა ორი წიწილა.

(კოპწია და კოხტიას თავგადასავალი).



ია, წია! რომ იცოდე, დაია, რა გემ-  
 რიელი ბუსებია აგერ ორმოსთან! გუ-  
 შინ იქ გახლდი და ერთი დაჟიჭირე;  
 ზირუელად ცოტა არ იყო კიდევა შეძე-  
 შინდა, არ მიკებინოს-მეთქი, მაგრამ, რა დაუინახე, არ ინძრე-  
 ოდა, გადაესანსლე!.. წაუდეთ, თუ და ხარ, ერთად ვინაღი-  
 როთ! — ეუბნებოდა კოპწია წიწილა კოხტიას.

— წაუდეთ, მაგრამ დედა რომ გუშის უოველთვის,  
 როცა იქით მივდივართ?! ალბად ორმო სასიუათო რამ უნდა  
 იეოს! — მიუგო კოხტიამ.

— აბა, რა სასიუათოა ორმო! ღვთის მადლით — ჩვენ  
 ორი თვალი გვაბია, ორი უური, ორი ფეხიც; დედა ჩვენი,



ეს ერთი კვირა, რაც მასსოვს, სულ გვეძახის, როცა ახლა ვერ გვხვდავს, მაგრამ მისი მახილი ხომ უოველთვის სიფათს არ მოასწავებს?!

კოსტიას სათქმელი არაფერი ჰქონდა, რადგანაც თვითონაც უნდოდა სეირნობა და ამიტომ ორთავემ გასწიეს ორმო-საკენ.

ჩვენ ცელქებს კარგა მანძილი უნდა გაველოთ ორმოდვე, ასე ოთხი, თუ ხუთი საყენი; სუძრობა-კი არ გვეკონოთ ამო-ტელა მანძილის გაღება, როცა ჰატარა ხარ, არც გ'სა იცი, არც კვალს და მარტოდ-მარტო მიდიხარ; ვინ იცის, რა მო-გელის გ'საში; მაგრამ ჩვენი წიწილები ერთი რომ გულადე-ბი იუვნენ და მეორე—თავისუფალი ცხოვრება ეველაფერს ერჩივნათ. მიდიან და მიიმღერიან:

ორმოში ფეტვი ჩავეარე შესანახადო,

ორმოში წყალი ჩასულა დასაღვობადო...

წიწილებს ეველაფერი ახარებდათ: ბალახი, ზედ მარგა-ლიტივით მბრწუნავი ცვარი, ბუხები, ზეპლები. სძირად ჩვენი ცელქები გაჩერდებოდნენ მოციმციმე ცვარისა. ან მაუ-თვალა ბუხის წინ, თავს ზევით ასწევდნენ, ან ძირს დახრიდნენ და ცალის თვალთა ათვალ-ჩაათვალთვარებდნენ, ნეტა ეს რა უნ-და იყო.

ერთბაშად ერთ ალაგას გაჩერდნენ, რადგანაც ერთ მცენა-რის ტოტსე, რომელიც მათ უსარ-მასარ ხის ტოტად მოე-ჩვენათ, რაღაც მფრინავი დაინახეს.

ეს „სე“ ჩვენი თეთრ-ვერანგა ქამელია გახლდათ, მფრი-ნავი-კი—ჩვენი ნაცნობი ფრთებ-დაქარგული, სავერდის ქათი-ბით მორთული ჭრელი ჰქვია. ზეპელა საღვინოდ მიეჩა-რებოდა, დასასვენებლად ქამელიაზე ჩამოძვდარიყო და, თით-

ქოს ჩქარის ფრენით თფლი მოსდენიაო, ფრთებს იქნევდა <sup>არაფრთხი</sup> <sup>სიზნუნით</sup> ნება გავევრიდდეთ.

— დილა მშვიდობისა, კოპწია ქალბატონო! — მიესალმნენ წიწილები ჰეპელას, — ვინ ბრძანდებით? ვის უცქერით ამ სიმაღლიდან?

ჰეპელამ გაკვირვებით გადმოხედა წიწილებს.

— ნუ გკმინათ, ჩვენ მკსაფრები გასლაგართ! — მიუგო კოპწიამ, — ორმოსკენ მივდივართ სხანდიროდ; თქვენი ფრთების ქნევა რომ დაუინახეთ, ვიფიქრეთ, იქნებ რამე უჭირს-თქო და თქვენკენ სამეფლად გამოვექანეთ. სომ არაფერი გიჭირს?.. — ჰკითხეს ჰეპელას ჩვენმა რანდებმა.

— გმადლობთ, არაფერი, მხოლოდ ცოტათი დაუინვენო მინდა.

— აქ რას აკეთებთ?

ჰეპელამ უთხრა: — მინდორში ვცხოვრობ მე უსრუნველადო, იქ უგავილები გაშლილა ჩემ საზრდოდ, საწუწქნელადო.

— გენაცვათ, რა მშვენიერი ქათიბი გაცვათ! წამოდით ჩვენთან ერთად!

ჰეპელამ ფრთები გაშალა და გასაფრენად მოემხდა.

— ჰო, მართლა, თქვენ დადლილი ბრძანდებით! მაშ ჩვენ წაგიუვანთ! და კოპწია ასტა ჰეპელას დასაჭერად, მაგრამ ჰეპელამ მოასწრო გაფრენა, ჩვენი კოპწია-კი ცალის ფრთით ქამელიას ტოტზე ჩამოეკიდა.

კოპწიას ჰირველად შეეშინდა, ვაი თუ გაფრენო, მაგრამ მალე მოაგონდა ანდასა: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიცონებსა, ფრთა ღონივრად გაანძრია, ტოტიც შეირხა, და კოპწიაც განთავისუფლდა.

კოპწია და კოხტია არხვინად ისევ გზას გაუდგნენ.

ორმოც იქვე ახლოს იყო. ორმოს გარშემო ქვიშა იყო

დაურილი, ასე რომ ეს ადგილი სხვაზე უფრო მაღლა იყო. აქედან მოსჩანდა ბაღახები; იქვე იყო ქაშელია, რომელსედაც წიწილებმა დაინახეს ამჰარტაჟანი და ფრთხილი ჰეჰელა; აქედანვე მოსჩანდა კრუსი; მას გარშემო ესვივნენ წიწილები; ზოგი მათგანი დედას ფრთებ ქვეშ უძვრებოდა, ზოგი ზურგზე ასტებოდა, ზოგიერთებს თავიანთი ჰატარა თავები დედის უბიდან გაოჟუოთ და, თითქოს ცისე-სიმაგრეში არიანო, უმიძრად გამოიუწებოდნენ; მათ ასლას ცუცქდა ჰატარა ლეკვი უეფი-აც, რომლის წვეტიანი კბილები არა ერთსეჟ და ორჯეჟ მოსვედრია კოჰწიას და კოხტიას თამაშობის დროს. ეჟელა ამას შედაჟდნენ ჩენი ცელქები და ამიტომ მოწეენას არ გრძნობდნენ, თუცა თავის ტოლ-ამხანაგთაგან დაშორებით იევნენ.

სონია ხაგომია.

(დასასრული იქნება).







ერთ-მოქმედ. ზიესა საბავშვო თეატრისათვის

(დასასრული).

სცენა 7.

(ცოტა ხანს შემდეგ ბავშვები კვლავ გამოდიან ევლზე. ნატაა აივნამდე გამოადიდებს მათ; იქ ცოტა ხანს შეჩერდება).

ნატაშა. წადით, ცოტა კიდევ ისეირნეთ. ჩქარა დედა მოვა და მიეცემათ. (შეღის ოთახში).

ტასო. (შიშვანის სკამთან) კატო, კატო! უუურე, — ზური. ზხე-  
დავ — რა ჩქარა მოუტანა. ა ჭია-მაიას!

კატო. მართლად? სად?

პავლე. სადაა ზური?

ტასო. აგერ არის სკამზე. (ევლა იქით მიადრენს)

პავლე. ოჲო, მერე რამდენი მოუტანია!

კატო. საკვირველია, ღმერთმანი! რას ნიშნავს ეს? საიდან გააჩინეთ?..

ტასო. ჭია-მაიამ მოგვითანა. ჩვენ აკი ვთხოვეთ.

პავლე. სედავ, სედავ, კატო! სომ გვუბნებოდით — მოიტანს მეთქი; — აკი მოიტანა... ვაჰა — ა — ა!

(ევლანი ერთხმად შეჰყვირებენ: „ვაჰა“, აიღებენ ზურს და მხი-  
რული ევარილით შექმნიან).

## სცენა 8.

- ნატაშა. (გამოვა ჰოვასზე). რა ამბავია, კიდევ სძურობთ?
- პავლე. ნატაშა! ნატაშა! ჭია-მამამ ჰური მოგვიტანა!
- კატო. უუურუ—რამდენია...
- ტასო. მერე რა გეპირი-ე-ლი!
- ნატაშა. რა ჰური? რას ამბობთ?
- პავლე. (მიუჩვენებს ჰურის ნატეს) აი, ჰხედავ?...
- ნატაშა. ბავშვებო, სომ არ იცუდლუტეთ და არავის მოჰყარეთ?..
- კატო. (წყენათ). რას ამბობ, ნატაშა... როგორი რამა ხარ...
- პავლე. დმერთსა ვფიცავ, არავისთვის მოგვინარავს...
- ნატაშა. ფიცა საჭირო არ არის—ცოდება. მაშ, ალბად ვის-მეს დაავიწყდა.
- ტასო. არა, არა. ჭია-მამამ მოგვიტანა.
- კატო. აგერა, დედაც მოდის!

## სცენა 9.

- პავლე. (მაირებს ჯედასთან) დედი, დედი! უუურუ—რამდენი ჰური გვაქვს!
- დარო. საიდან, შეიღო? ვინ მოგვცათ?..
- ტასო. დედი! ჭია-მამამ მოგვიტანა.
- კატო, ტასო და პავლე. (გოტა უკან დახევენ და ჰურის ჭმას განაკრძნობენ).
- დარო. (მ. მართავს ნატაშას). რა ამბავია?.. ჭია-მამა... ვერაფერი გამიგია, რაშია საქმე... არ ვიცი, რა ვიფიქრო... ბავშვებს სომ ცუდი არაფერი განუზრახავთ?.. თქმად-კი მაშინებს: ჰური სომ არავის მოჰყარეს?.. საწულეებს ეშიებოდათ... და შეიძლება შესცდნენ.



ნატაშა. არა, დედი! ეგ უოულად შეკძლებულია, მაგას <sup>არცხანად</sup> ჩადიდენდნენ. მეჲ ვეითსე, მაგრამ ბავშვები ფიცულო-  
ბენ, ირწუხებიან, რომ არ მოგვიპარავსო. ტასო-კი  
ერთთაჲდ გაიმახის: ჭია-მამამ ჰური მოგვიტანაო.  
თუძე, რასაკვირველია, მათი ლაპარაკი ჭია-მამას  
შესახებ არაა სარწმუნო. (დარო და ნატაშა მიდიან; ბავშვები  
წინ წაშოიწვევენ).

### სცენა 10.

ტასო. უეუროთ—ისეჲ აქ არის!

კატო და პავლე. ვინა? ვინა?

ტასო. ჭია-მამა.

კატო. ეგ, მკონი, წყლანდელი ჭია-მამა არ არის: სხვაა.

ტასო. არა, ის არის: წითელი, შავ-წინწყლებიანი.

პავლე. მოდი კიდევ ვთხოვოთ—ჰურს მოგვიტანს.

კატო. ძალიან კარგი იქნება; მოდით, მოდით ვთხოვოთ.

ყველანი. (მდგომარეობა).

„ჭია—ჭია—მამა!

ჭა, გაფრინდი ცაშია,

ჰური ჩამოგვიტანე!..“

(უშოვს გამოუდია დუქნის კარები და კვლავ თვალ-ფურს ადევნებს).

კატო. ოჲ, გაფრინდა!

ტასო. ჰურის მოსატანად ჩვენთვის.

პავლე, ახლა-კი რამე ვითამაშოთ.

კატო. ძალიან კარგი, ძალიან კარგი... თვალ-სუტუნა გინ-  
დათ?.. აბა, წამოდით! (მადან).

### სცენა 11.

უშოვი. (მიჰქვს თეთრი ჰურის დიდი ნაკერი და სდებს სკამზე). რა გაც-



სარდებთ ბავშვებს, ამასაც რომ ნახავენ; იფრქვან...  
ესეც ჭია-მაიამ მოგვიტანაო. დეი იფიქრონ... (ჩქარის  
საბოლოო წავა დუქანში).

**ნატაშა.** (გამოადებს დერეფნის კარებს). აი, თურმე, როგორ ჭია-  
მაიას მოაქვს ზური! რა კეთილი ადამიანია ნიკოლოზ  
ზეტრესძე, ღმერთმა გაბძლიეროს... (მოასმის ტასოს ხმა  
დერეფნიდან: აჰა! დაგინახე, დაგინახე, ჰაჰაჰა; გაბოგნე, გაბო-  
დი! ეველანი გელზე გამოცვივდებიან).

## სცენა 12.

**კატო.** ზური კიდევ. უეუროთ, უეუროთ, რა თეთრია, ნო-  
ვიერი!

**ტასო.** ოჰ, ღმერთო ჩემო! საუკარელ ჭია-მაიას მოუტანია!  
(ხტუნაობს სიხარულით).

**ბავა ე.** ვაჰა! ვაჰა! რა დიდებულია!  
(იღებს ზურს და აიწიასკენ მიაქვს; უკან მისდევს კატო და ტა-  
სო; ეველანი „ვაჰას“ ეკრიან. ამ ხმურობაზე გამოდის დარო).

## სცენა 13

**დარო.** რა ამბავია? რა გავეირებთ? ჩნები სომ არ მოგი-  
ვიდბათ?

**ბავლე.** არა, დედი! აი, თვითონ ნახე, ჭია-მაიამ კიდევ მო-  
გვიტანა ზური.

**კ.ტო.** თეთრი ზურია! ისევ იმ ალაგას დაედო.

**ტასო.** ჭია-მაია აწლა უოჯელ დდე მოგვიტანს! სომ, დედი?

**დარო.** არაუფერი მესმის. დალაგებით მიამბუთ, რას ნიშნავს  
უოჯელიდე.

**ნატაშა.** (დუდას აქათ წაუყვანს). ამ საათში აგისსნი, დედი. ეგენი  
ოთახში შევსავენ...



**დარო.** ბავშვებო! ასლა სახლში წადით, იქ ითამაშეთ (ბავშვების ხმა) მაღას) ნატაშა, გაძაგებინე ერთი, თუ დმურთი გწამს, რას ნიშნავს უოფელივე ეს? ძიამბე ჩქარა!

**ნატაშა.** იმას, დედი, რომ უფელა ამას სწადის უშკოვი, ნიკოლოზ ჰეტრეს—ძე. ბავშვებს-კი ჰგონიათ, რომ ჰური ჭია-მაიას მოაქვს. ჰხედავ, დედი, რა გულ-კეთილია უშკოვი?, მე განკებ დაურნი დერუფანში, რომ თვალ-წერი შედექნებია და თვითონ დაგინახე, როცა ჰური გამოიჩანა, დასდო სკამსე და სთქვა: „რა გაესარდებათ ბავშვებსო“...

**დარო.** ოღონდაც, რომ გაესარდებათ... დმურთა კეთილი მისცავს ნიკოლოზს ჰეტრეს—ძეს. წავალ, მადლობას გადაუხდი (მაღის ღუმისაკენ; ამ დროს უშკოვიც გამოვა). ბებრ ჩვენი ნიკოლოზს ჰეტრეს—ძეც.

#### სცენა 14.

**დარო.** გამარჯვება თქვენი, ნიკოლოზს ჰეტრეს—ძე!

**უშკოვი.** გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, დარია სვიმონის ასულო! ასალს რას შეტეუი?

**დარო.** უპირველესად უოფლისა, დიდ მადლობას გწირავთ, ჩვენო ძეგებავო!..

**უშკოვი.** რისათვის?

**დარო.** იმიტომ, რომ ობლები შეიბრალე, დაამდე...  
**უშკოვი.** ჭოთო, ჭია-მაიას შესახებ ამბობ?!. ეჰ, ეჰ მადლობად არა ღირს. მე, მართალი გითხრა, ძალიან მო-

შეწონა ის სუძრობა. მანატრეთ-კი: შეიძლება ჩემი მოქმედება შეუსაბამო, ტლანქი გამოვიდა; შეიძლება ჰატარა ტეუილსაც ჰქონდა იქ ალაგი, მაგრამ ეს ბოროტი განსრახვით არ ჩამიდენია; მაგრამ, ამბო-



ბენ, ასეთ შემთხვევაში, ასეთი ტყუილიც-კი ეხატება  
ადამიანსო... შენ-კი ამის შესახებ ნურაფერს იტყვი:  
ჯერ-ჯერობით ჩუმად იუბვი.

**დარო.** მე მსურს, რომ ბავშვებმა გაიგონ მართალი და უსა-  
თუოდ თვითონ გადაგისადონ მადლობა შენი კეთილ-  
მოქმედებისათვის...

**უშკოვი.** მერე გაიგებენ, მერე! ახლა-კი დეე უსრუნველად  
ითამაშონ; დეე იფიქრონ, რომ ჭია-ძია უსიდავო  
ზურსა... მე კიდევ მინდა ვასიამოვნო ისინი, გავასა-  
რო: ტბილეულობასაც მივცემ. მიუვარს, როდესაც  
ბავშვების სინარულს ვხედავ.

**დარო.** ღმერთმა კეთილი მოგცეს, ჩვენო ძისწელო! არ ვი-  
ცი, ღმერთმანი, როგორ გადაგიხადო მადლობა ამ  
კეთილი საქმისათვის.

**უშკოვი.** კარგი, კარგი, თავი დაეხეობოთ ამ ლაპარაკს...  
(სწრაფად იქაიდან შიშისმის ბავშვებს სმაურობა). აგერ, ბავშვები  
აქეთ გამოვბიან. ოჰ, რა მსიარული სმაურობაა!

### სცენა 15.

**კოტე, ტასო, პავლე.** გამარჯვება თქვენი, ნიკოლოზ ჰეტრეს —  
მეუ! გამარჯვება, ბიძია!

**უშკოვი.** გამარჯობათ, გამარჯობათ, ბავშვებო! იცით — რას გე-  
ტყუით: ეს არის ახლა შეუსვდი ჭია-ძიას და თქვენ-  
თან ტბილეულობა გამომატანა.

(ამოიღებს ფიბიდან ტბილეულობას და ბავშვებს ურიგებს. ბავშვები  
ერთმანეთს განცვიფრებულნი შესტყვიან).

**კატო.** დედი! მამ ზურიც ნიკოლოზ ჰეტრეს — მეს მოქქიანდა?

**პავლე.** თეთრი ზურიც მაგან მოიტანა?

- დარო. აჰან, აჰან, ჩემო ძვირფასო! ეგელაფერი აჰან მოგო-  
წუოთ. აბა, ახლა მიდით და დიდი მადლობა გადაუ-  
ხადეთ.
- კატო. გულითად მადლობას გიძღვნი, ნიკოლოზ ჰეტ-  
რეს—ძვე!
- პავლე. გმადლობთ, ნიკოლოზ ჰეტრეს—ძვე!
- ტასო. დიდათ გმადლობთ, ბიძა!
- უშკოვი. არაფერი, არაფერი: მადლობად არა ღირს, ბავშვებო!  
ჭაჭეთ ტკბილეულობა გემრიელად, და შეძევ იმხიარუ-  
ლეთ და ითანაშეთ...
- ტასო. პავლე, კატო. (უშკოვს თავს უკრავს და შერახს).

„მოულოდნელ ზრუნვისათვის  
და ტკბილეულობისათვის,  
გიძღვნი დიდსა მადლობას,  
დიდსა, დაუსრულებელს,  
მარად მოსაგონებელს!“

(ფარა).

დ ელიოზაშვილი.





## — მკითხველის — — წერილები. —

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მუშაობის  
კომიტეტი

### წერილი რედაქციის მიმართ.

ქ.ნო რედაქტორო!

მოკარტოვეთ სამ მანეთს (3 მ.). უმოწინაღესად გთხოვთ ეს ფული მოახმაროთ საშობაოდ იმ ბავშვებს, რომელთა მამები საომრად არიან წასულნი და თავიანთ საუკვარელ ზანციებს შობის სეს ვერ მოაწვდიან. ვუსურვებთ, რომ ძალე და ძველი დროის ქართველებსავეთ პასულოვანად დაუბრუნდეთ მამები, სოლო დედებს მხნეობა და მოთმინება მისცეს ღმერთმა.

თბილისის მეზუთე საქალბო გიმნაზიის მოწაფე ვენერა  
და ძმა მისი ლუარსაბ შუბლაძეები \*).



\*) ფული უკვე გადაეცა ვერის უფასო სასაღილოს გამგეობას. ეს სასაღილო ჯარში გაწვეულთა ბავშვებისათვის არის გამართული და განზრახულია ბავშვებს შობის ხე ან სხვა რამ გასართობი გაუმართონ დღესასწაულებზე.



# რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი გ. მუშლაძის-შიერ.)



,



”



”

ნ ,

კაცის  
სახელი



,

ს



,



ნ


ყ



,



”



მე-22 №-ში მოთავსებულ რეზუმეს ალსა:

მზე სიცოცხლის სათავეა.

# მიიღება ხელის მთხიარა 1945 წ.



ყოველდღიურ სახალხო-საზოგადოებრივ და სახალხო-ტერაპიულ გაზეთზე

## „სახალხო ზეიშ“

გაზეთი სამხედრო ცენტრის ნებართვით გამოდის და ამიტომ უზრუნველყოფილია შეჩერება — დაზუსტებისაგან.

გაზეთი მიზნად ისახავს ხალხის ინტერესების დაცვას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო ომს. გაზეთში იბეჭდება მოკლულ-დაჭრილ აფიცერ — ჯარისკაცების სია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმების შემდეგი დღეებისა და ღირს:

მთელი წლით — 7 მან., ნახევარი წლით — 4 მან., სამი თვით — 2 მან. და 50 კაპ.; ერთი თვით თბილისში — 80 კაპ., თბილისის გარე — 90 კ., ცალკე ნომერი ყველგან შეური და საზღვარ გარე ორჯერ მეტი.

**გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა ყველგან წინადაწინ უნდა გადაიხადონ. ნისიათ გაზეთი არავის დაეთმობა**

ვთხოვთ მკითხველებს დაუყოვნებლივ გაცნობონ, თუ რომელიმე აგენტი ან დამტარებელი გაზეთს ზედ მეტ ფასში გაჰყიდის.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი — 20 კაპ., მეოთხე გვერდზე — 10 კაპ.; სამკლავიარო განცხადება ორ სათამად — 3 მანეთი, ზოლო ორის შემდეგ — 4 მანეთი.

ხელმოწერული წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდელ სარედაქციო მასალას, რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

კანტორის ადრესი: თბილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36.

**ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიზავნონ:** Тифлиς, Орбелиановская ул., № 36, Георгию Григорьевичу Бежияшвили. სხვა ადრესით გამოგზავნილი ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციის კანტორაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10 — 12 საათამდე და საღამოს 6 — 8 საათამდე.

**გაზეთის აბეჭდებმა პირდაპირი დამოკიდებულება უნდა იქონიონ კანტორა „მანთიადთან“.** მიხეილის პრ. № 18).

# 1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალს საქართველოს  
გეოგრაფიული

## „ნაკადული“-ზე

♦ წელიწადი მეთერთმეტე ♦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

**36** სურათის ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1915 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრები“ - (საშუკრელში შეკრებილი) იოსებ ყიფშიძის-მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნახევარ წლით—3 მან., ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.**, მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

სახლგარე გარედ: ერთი წლით **7 მ.** ნახევარი წლით **4 მ.**

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყვობინონ. ადრესის გამოსაცვლეული—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნა.

### ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალოშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კეიკარიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **კამბეგრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ჭოთხში**—თეოდორე კანდელაკთან და კ. თელიასთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძისთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იშნაძისთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—ნინო გელაშვილთან, **გორში**—ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ქიზურაში**—ივანე გომელაურთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში**—მ. ი. ქაეკანიძისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.